

## სოციალური ჯგუფის ქცევის მათემატიკური მოდელირება იცორმაციული გამოიზიანებლების შემთხვევაში

თამაზ ობგაძე, არჩილ ჭავჩაველი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

შესწავლილია სოციალური ჯგუფის ქცევის სხვადასხვა სახეები, გარე გამლიზიანებლის მოქმედების მიხედვით. ნაშრომის კვლევის საგანია სოციალური ჯგუფის მასად, ბრძოლ ან პუბლიკად გადაქცევის მექანიზმები. აგებულია შესაბამისი წრფივი მათემატიკური მოდელი. გამოკვლეულია სოციალური ჯგუფის ამ სამი მდგომარეობის, შესაძლო ურთიერთგადასვლის ალბათობების დინამიკა.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური ჯგუფი. ქცევის სახეები. მათემატიკური მოდელი. ინფორმაციული ზემოქმედება.

### 1. შესავალი

დიდი სოციალური ჯგუფების კლასიფიკაციისას მიღებულია [1], რომ ზოგიერთ მათგანს, არ შეიძლება ვუწოდოთ „ჯგუფი“. ეს დროებითი გაერთიანებებია, რომელიც შექმნილია ინდივიდის მიერ და მასში, გაერთიანებული არიან სხვადასხვა დიდი ჯგუფის წარმომადგენლები (კლასები, ეთნიკური ჯგუფები, პროფესიული გაერთიანებები, ასაკობრივი ჯგუფები და სხვა). ასეთი ჯგუფები არის სტიქიურად შექმნილი. სოციალურ ფსიქოლოგიაში ასეთი ჯგუფებიდან გამოიყოფა: ბრძოლ, მასები და პუბლიკა (მაყურებელი). ამ ჯგუფების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს – საზოგადოებრივი აზრი.

ბრძოლ – იქმნება ქუჩაში: საგზაო შმთხვევის დროს, დამნაშავეს დაჭერის დროს, მთავრობის სადამსჯელო ქმედებისაგან შეშინებული მოწინააღმდევები და ა.შ. მისი არსებობოს დრო, დამოკიდებულია ინციდენტის მნიშვნელობაზე, მაგ.: ბრძოლ დაიშლება როგორც კი სეირი, ან მისი გამომწვევი მიზეზი დამთავრდება.

მასა – უფრო სტაბილური, ორგანიზებული წარმონაქმნია – მანიფესტაციები, დემონსტრაციები, მიტინგები. მათი ქმედება უფრო გააზრებულია, თუმცა, მისი არსებობა შეიძლება იყოს არამდგრადი.

პუბლიკა (მაყურებელი) – ესეც ადამიანთა მცირევადიანი თავყრილობაა – სტადიონზე მაყურებელი, თეატრში, მოედაზე ინფორმაციის მოსმენის დროს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სამიერ ჯგუფი შეიძლება გადავიდეს ერთმანეთში, ეს დამოკიდებულია მდგომარეობაზე, დროსა და გარე გამაღიზიანებელის მოქმედების ინტენსივობაზე.

ჩვენ განვიხილავთ მასის, ბრძოლს და პუბლიკას ერთმანეთის მდგომარეობაში გადასვლის კანონზომიერებებს.

განვიხილოთ ისეთი ზემოქმედება პუბლიკაზე, რომელსაც ის გადაყავს ბრძოლს მდგომარეობაში. ბრძოლა - იმპულსურია, ცვალებადი და აგზებადი. მისოთვის დამახასიათებელია მხოლოდ ცალსახა და უკიდურესი ქმოციები: გაფორმება, აღტაცების ექსტრაზი ან პანიკა.

სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ [2-5] დააფიქსირა, რომ ბრძოლს, ხალხის მასასა და აუდიტორიას შორის განსხვავების დადგენის გარეშე, შეუძლებელია მასობრივი შეკრების დედარისის გაგება, კონკრეტულ გარემოებაში რეალური გარკვევა და შექმნილ ვითარებაში სწორი ორიენტაცია.

ტელეკრანზე არაერთხელ გვინახავს, მაგალითად, ინგლისელი ან იტალიელი ფეხბურთის გულშემატკივრების მასობრივი, აბობორებული შეკრება. სხვადასხვა ქვეყნებში გამართული სპონტანური, სტიქერი საპროტესტო დემონსტრაციები, უზიდეს დარბაზებში, სტადიონებზე, თუ და ცის ქვეშ მოწყობილი როგორც მუსიკის გრანდიოზული კონცერტი, რომელზეც „ფანები“ ექსტაზში ცვივიან. ეს კადრები ადამიანებში განსხვავებულ ემოციებს ბადებს. უმეტესობისთვის კარგად ნაცონბია მღელვარება, დისკომფორტი, თუ ემოციური დაბადებულია, რომელიც განუცდია, მაგალითად, მასობრივ ღონისძიებაზე, ბაზრობაზე, ხალხით სავსე პიპერმარკეტში, ან სტადიონის, საკონცერტო თუ კინოდარბაზიდან გამოსასვლელში. ბრძოლში მოხვედრილი ადამიანი მის ნაწილად იქცევა, დაპყრობილია ემოციების სტიქით, პრაქტიკულად ვერ ეწინააღმდევება მას და იქცევა როგორც ყველა.

ბრძოლს მდგომარეობა, პიროვნებისათვის, მთელ რიგ საფრთხეებს მოიცავს: პიროვნული ინდივიდუალურობის მოშლით დაწყებული და ფიზიკური საფრთხით დამთავრებული. თანამედროვე ისტორიიდან ხომ მრავალი ფაქტია ცნობილი, როდესაც ბრძოლ დამანგრევებლ ძალად გადაქცევულა.

ამ აზრის საწინააღმდევობა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხალხის მასის დიდი შეკრება ყოველთვის არ წარმოშობს აგრესიას, არ ბადებს პანიკას და არ წარმოადგენს უმართავ სტიქიას. ხოლო საზოგადოება, ან თუნდაც მასა, გააზრებულად მოქმედებს. მაგალითად, თუ აღმოვჩნდით გრანდიოზულ ზემზე, სპორტულ თუ, სხვა სახის დიდ ღონისძიებაზე ან კონცერტზე, სავალდებული არ არის, რომ მთელი ენერგია წარვმართოთ მხოლოდ პირადი ინდივიდუალურობის შენარჩუნებაზე, ან ჩავიკეტო საკუთარ სამყაროში, თუ

გამოვამყდავნოთ საპროტესტო მუხტი და ა.შ. ზომ შეიძლება, რომ ზოგჯერ დავწერდეთ იმ ემოციურ აღტაცებას, რომელიც სუფევს გარშემო მყოფ ადამიანებში, მოვდუნდეთ და ვისიმოვნოთ.

მაგრამ, თუ, დაუბრუნდებით ბრძოს ფერომენზე მსჯელობას და მას განვიხილავთ როგორც დამოუკიდებელ ორგანიზმს, მისი ქცევა შეიძლება შევადაროთ ფსიქოზურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის ქცევას.

ბრძოს ქმედება არ ექვემდებარება რაციონალურ განმარტებას და იმართება მხოლოდ ემოციური იმპულსებით, რომელსაც ის ძალიან სწრაფად ავრცელებს საკუთარ შიგა სივრცეში. ამ ეფექტს „ვნებათა სიმძაფრეს“ უწოდებენ. ადამიანთა ამ სახის ერთობა მხოლოდ იმ დღისთვის არსებულით ცოცხლობს და არ უფიქრდება შედეგებს. მისი ამოცანაა დაიგებაყოფილის ამწუთიერი მოთხოვნილება - შეტევა, ან პირიქით გაქცევა, ან, კერძის შექმნა და მისი გამომერთება.

ასევე, ბევრი რამ არის დამოკიდებული ინფორმაციულ ზემოქმედებაზე. ნებისმიერი წარმოთქმული სიტყვა უმაღვე, ადვილად იძენს რეალურ მოხაზულობას. მაგალითად, სიტყვამ - „გვიტვან“, შეიძლება გამოიწვიოს ელვისებური რეაქცია პანიკის ან პირიქით აგრძესის სახით. იგივე შეგვიძლია ვთქათ აღზნებადობაზე. ამ ვთარებაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება მისა, რომ რეალურად არავინ არც აპირებდა შეტევას და შესაძლოა, რომ ამ ამბის წამომძახებელს ეს უბრალოდ მოქმედება და მხოლოდ სიტყვამ - „გვიტვან“ მოახდინა მასობრივი ჰალუცინაციის პროცესის პარტიკულარიზაცია, მოახდინა მასის აღზნებადობის კრიტიკულ ზღვრამდე გაზრდა.

ადამიანების მასის დამოკიდებულება, ინფორმაციული ზემოქმედების მიმართ ცალსახაა: ის ან ღებულობს, ან სრულიად უაყობს მას. ბრძოს განსაკუთრებულად ახასიათებს გარე ზეგავლენის ქვეშ მოქცევისკენ მიღრეკილება, მიმნდობობა, მას დაკარგული აქვს კრიტიკული მიღვიძელისა და აღქმის უნარი. ის, როგორც წესი, კონსერვატიულია და კატეგორიული. ახალი რამ მისთვის მიუღებელია და ამიტომ ყოველთვის ირჩევს და მიდის უკვე კარგად ჩვეული გზით. ამ კატეგორიის მასას დასაწყისში რომც გააჩნდეს რამე სახის მოქმედების გეგმა, იმის შემდეგ როდესაც ის იქცევა ბრძოლ, ის კარგავს თავდაპირველ მიზნებს.

ასევე, უნდა იქნას განხილული ემოციური დასენიანება და აღზნებადობა, რაც იწვევს მასის და პუბლიკის ბრძოს მდგომარეობაში გადასვლას.

მაგალითისთვის: დასასვენებელ პარტი ვინმექ ხმამაღლა, ისტერიულად რომ დაიძახოს - „ხანძარია“. მშვიდად მოსეირნე ადამიანები იმ წასვე დაემსგავსებიან პანიკაში მყოფ ჯოგს. უმოკლეს დროში ადამიანი კარგავს საკუთარ იღენტურობას, რასაც მოპყვება მისი ბრძოში შერწყმა. დადგენილია, რომ - რაც უფრო მღველგარე ვთარება შექმნება ადამიანებს საწყის ეტაპზე - მით უფრო სწრაფად ვრცელდება ემოცია და მით უფრო გამანადგურებელია წარმოშობილი ბრძოს მოქმედება.


ბრძოს ყველა ძალა მმართულია ნგრევისაკენ. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები გარბიან გარე საფრთხისაგან, ისინი საშიშროებას უქმნიან საკუთარ თავს.

როგორც წესი, ემოციური დასენიანების ფერომენს ითვალისწინებენ და იყენებენ პოლიტიკოსები, რელიგიური მოღვაწეები და კარგი პედაგოგებიც, რომლებსაც, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, უწევთ აუდიტორიის დამორჩილება.

მეცნიერთა ნაწილი ემოციურ დასენიანებას ჰაპნოზური სახის მოვლენებთან აიგივებს. სხვები კი მის საფუძვლად ადამიანის ბუნების ერთ-ერთ გამოკვეთილ თვისებას - მბაბავისკენ მისწრაფებას მიიჩნევენ. ამ ტანის უმარტივეს რეაქციას სხვა ადამიანის გაუწონასწორებელ (ავადმყოფურ) მდგომარეობაზე რეაგირება წარმოადგენს. მაგალითად, ბავშვის ტირილზე სხვა მცირეწლოვანი ბავშვის თანდაყოლილი რეაქცია იმაში გამოიხატება, რომ ისიც იწყებს ტირილს. იმის გათვალისწინებით, რომ ბრძოში მოხვდრილი ადამიანი კარგავს საკუთარ „მე“ - ს და რეგრესირებს უფრო დაბალ დონისაკენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი მერძნობიარობა უტოლდება ბავშვის მერძნობიარობის დონეს. ბავშვს ხომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია დაიწყოს ტირილი ან გაბრაზდეს, თუ, დაინახა სხვა ატირებული ან მოჩქებარი ბავშვები.

ახლა, განვიხილოთ პუბლიკის მდგომარეობა. როგორც ზემოთ გვჭრნდა აღნიშნული, პუბლიკა არის ყველაზე გაწონასწორებული და არა ერთი იდეისთვის, არამედ, ერთი ინტერესისთვის შეკრებილი ხალხი, რომელიც შეიძლება იყოს კონცერტზე, თეატრში, სტადიონზე ან მსავას შეკრებაზე. ბრძოს გადასვლა პუბლიკში ძალიან იშვათი შემთხვევაა. შეიძლება ითქვას, რომ პრაკტიკულად შეუძლებელია. ხოლო რაც შეეხება მასის გადასვლას პუბლიკაში, ეს შედარებით ხშირი შემთხვევაა და მარტივიც. როგორც ვიცით [6], მასა არის გაწონასწორებული ხალხის ჯგუფი და ასევე, ერთი იდეისთვის შეკრებილი ჯგუფი. აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი იდეისთვის შეკრებილ ხალხს, მარტივად შეიძლება გაუჩინო ერთი ინტერესი, რაც დამოკიდებულია ლიდერზე. მაგალითად, მიტინგზე შეკრებილი ხალხი, შეიძლება გადავიყენოთ პუბლიკის მდგომარეობაში, შეუძლია ლიდერს ჩატაროს რაიმე სანახაობა, ან თუნდაც ყრილობა, რომ ხალხის ჯგუფი გადავიდეს პუბლიკის ჯგუფის მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასა სრულად დამოკიდებული ლიდერზე.


ბრძოლება გადავიდეს „მასა“-ში (მასა არის სტაბილური ხალხის მასა, რომელსაც ჰყავს ლიდერი). აქედან გამომდინარე, ლიდერის წარმოშობის შემთხვევაში, ბრძოლება მართვადა და უფრო სტაბილური, რაც განაპირობებდ მის გადასვლას მასაში. ასევე, უნდა განვიხილოთ პუბლიკის მდგომარეობაც და მისი გადასვლა მასაში. ეს ყველაზე მარტივი გადასვლა იქნება, მაგალითისთვის, თუ, გვყავს პუბლიკა – ხალხის შექრება, თუნდაც რაიმე ყრილობა, კონცერტი ან რაიმე სანახობა, მაშინ, ლიდერის წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც გააერთიანებს ერთი იდეისათვის პუბლიკას, ის ადვილად გადაიქცევა მასად, აქ მოქმედებს გარე გამაღიზიანებელი ფაქტორი, თუნდაც ინფორმაციის გავრცელება, რაც ზემოთ იყო თქმული ბრობს მდგომარეობაზე.



ნახ.1. ხალხის მასის, ბრძოლას და პუბლიკის მდგომარეობათა ურთიერთგვშირის სქემა

## 2. მათემატიკური მოდელის აგება

ავაგოთ ამ სქემის შესაბამისი სამკუთხა გრაფი:



ნახ.2. მდგომარეობათა ურთიერთგვშირის გრაფი

გრაფის შესაბამის მათემატიკურ მოდელს, ადვილად ავაგბთ, რეაქტორულ სქემათა ტექნიკის [7] გამოყენებით.

$$x_1 = -(k_{12} + k_{13}) \cdot x_1 + k_{21} \cdot x_2 + k_{31} \cdot x_3 + f_1(t, u) + h_1(t, v), \quad (1)$$

$$x_2 = k_{12} \cdot x_1 - k_{21} \cdot x_2 + k_{32} \cdot x_3 + f_2(t, u) + h_2(t, v), \quad (2)$$

$$x_3 = k_{13} \cdot x_1 - (k_{31} + k_{32}) \cdot x_3 + f_3(t, u) + h_3(t, v), \quad (3)$$

$$x_1 + x_2 + x_3 = N. \quad (4)$$

გადავწეროთ (1),(2),(3) სისტემა მატრიცული ფორმით

$$\dot{x} = K \cdot x + f(t, u) + h(t, v), \quad (5)$$

სადაც,

$$x = \begin{pmatrix} x_1 \\ x_2 \\ x_3 \end{pmatrix}, \quad f(t, u) = \begin{pmatrix} f_1(t, u) \\ f_2(t, u) \\ f_3(t, u) \end{pmatrix}, \quad h(t, v) = \begin{pmatrix} h_1(t, v) \\ h_2(t, v) \\ h_3(t, v) \end{pmatrix}, \quad K = \begin{pmatrix} -(k_{12} + k_{13}) & k_{21} & k_{31} \\ k_{12} & -k_{21} & k_{32} \\ k_{13} & 0 & -(k_{31} + k_{32}) \end{pmatrix}. \quad (6)$$

$x_i$  – სადაც  $i = \overline{1,3}$  აღნიშნავს ხალხთა ერთობლიობიდან  $i = 1$  – ურ მდგომარეობაში მყოფთა რაოდენობას,  $k_{ij}$  – შესაბამის, გადასვლის უგანზომილებო სიჩქარეს,  $N$  – ხალხთა ერთობლიობის საერთო

რაოდენობაა, ხოლო,  $f_i(t, u) - \text{მართვის } (\text{ინფორმაციული } \mathcal{X}\text{-მოქმედების})$  ფუნქციის კომპონენტებია და  $h_i(t, v) - \text{შემთხვევითი, გარე } \text{მიზნის } \text{საწინააღმდეგო } \mathcal{X}\text{-მოქმედებებია.}$

ცხადია. რომ (4). (5) განტოლებები უნდა განვიხილოთ ერთობლიობაში, დამატებით (7) პირობებთან ერთად

$$(0,1,0) \Rightarrow (1,0,0). \quad (7)$$

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ მიზნის (8) ფუნქციაც.

ჩვენი მიზანია, უმცირესი დანაკარგებით გადავიყვანოთ მომიტინგე, აღტკინებული ბრძო, ხალხის მასაში. ამისათვის, იყენებენ ბრძოს დაშლის სხვადასხვა ტექნოლოგიებს, ცრემლმდევნ გაზს, წყლის ჭავლს, მაღალი სიხშირის ბგერით სიგნალებს, რეზინის ხელკეტებს, ინფორმაციულ ზემოქმედებას და ა.შ. ცალკე გამოკვლევის საგანია  $k_{ij}$  – კინეტიკური კოეფიციენტების განსაზღვრის წესი.

ଲିପ୍ତିରାତ୍ମୁରା:

1. . . , : , 1999
  2. . .. , , :
  - " " , 1989
  3. Myers D.G.. Exploring Social Psychology. Michigan, 2000
  4. . . Москва: Радио и связь, 1999
  5. Stanley Milgram. Experiment in social psychology, Washington: AAAS, 1974
  6. Пайнс Е., Маслач К. Практикум по социальной психологии, Москва: Питер 2001
  7. თბეგაძე თ.. მათემატიკური მოდელირების პურსი (უწყვეტი მოდელები), ტომი 1, სტუდიო, თბილისი, 2006.

## **MATHEMATICAL MODELING OF THE BEHAVIOR OF SOCIAL GROUPS IN CASE OF INFORMATION IRRITATORS**

Obgadze Tamaz, Kanchaveli Archil  
Georgian Technical University

## Summary

The represented paper studies different types of behavior of social groups in case of irritators. The subject of the work is to study the mechanism of turning social groups into masses, crowd or public. The corresponding line mathematical model was built. The dynamic of the possible probability of trans-movement of these three states of social groups is studied.

## МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ПОВЕДЕНИЯ СОЦИАЛЬНЫХ ГРУПП В СЛУЧАЕ ВОЗДЕЙСТВИЯ ИНФОРМАЦИОННОГО ВОЗБУДИТЕЛЯ

Обгадзе Т., Канчавели А.  
Грузинский Технический Университет

## Резюме